სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030664279894515

16 / ივნისი / 2015 წ. **თბილისი #06-105/ო**

ლ ა ბ ო რ ა ტ ო რ ი უ ლ ი ხ ა რ ი ს ხ ი ს კ ო მ ი ტ ე ტ ი ს შ ე ქ მ ნ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ

„სსიპ "ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის" დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის "გ" და „ს" ქვეპუნქტების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში (შემდგომში-ცენტრი) ლაბორატორიული ხარისხის პოლიტიკის დანერგვის და დახვეწის მიზნით შეიქმნას ლაბორატორიული ხარისხის კომიტეტი (შემდგომში-კომიტეტი) შემდეგი შმადგენლობით:

ა) ამირან გამყრელიძე - გენერალური დირექტორი, კომიტეტის თავმჯდომარე;
ბ) პაატა იმნაძე - გენერალური დირექტორის მოადგილე მეცნიერების დარგში, წევრი;
გ) ეკატერინე ქავთარაძე - გენერალური დირექტორის მოადგილე - წევრი;
დ) ირმა ხონელიძე - გენერალური დირექტორის მოადგილე - წევრი;
ე) ეკატერინე ადეიშვილი - ლუგარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრის მენეჯერი - წევრი;
ვ) გვანცა ჭანტურია - ვირუსოლოგიის, მოლეკულური ბიოლოგიის და გენომის შემსწავლელი დეპარტამენტის უფროსი - წევრი;
ზ) შოთა ცანავა - ბიოუსაფრთხოების და განსაკუთრებით საშიში პათოგენების დეპარტამენტის უფროსი - წევრი;
თ) მაია ალხაზაშვილი - საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეგიონული მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - წევრი;
ი) ოთარ ნამიჭეიშვილი - საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი - წევრი;
კ) ლალი ებანოიძე - იურიდიული სამმართველოს უფროსი - წევრი;
ლ) გელა მგელაძე - ბიოლოგიური უსაფრთხოების სამმართველოს უფროსი- წევრი;
მ) ნინო მაჭარაშვილი - შტატგარეშე მოსამსახურე - წევრი;
ნ) გოჩა გიორგიძე - საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეგიონული მართვის დეპარტამენტის იმერეთის სამმართველოს უფროსი - წევრი;
ო)ნინო გუგუშვილი - საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეგიონული მართვის დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს უფროსი - წევრი;
პ) ეკა ქორჩაშვილი - საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეგიონული მართვის დეპარტამენტის შიდა ქართლის განყოფილების უფროსი - წევრი;
ჟ)ნელი ხიზანიშვილი - საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეგიონული მართვის დეპარტამენტის კახეთის განყოფილების უფროსი - წევრი;
რ) თამარ ღანიაშვილი - ხარისხის კონტროლის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, აღმასრულებელი მდივანი.
ს) სოფიო დათუკიშვილი - ზოგადი ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიის უფროსი სპეციალისტი - მდივანი;

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით შექმნილ კომიტეტში შესაძლებელია მოწვეულ იქნან სხვადასხვა სამმართველოების წარმომადგენლები საჭიროების მიხედვით.

3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით შექმნილი კომიტეტის ფუნქციებია:

ა) ხარისხის პოლიტიკისა და სტანდარტების შემუშავება და დანერგვა;

ბ) ხანგრძლივ და ყოველწლიურად გასაუმჯობესებელ ობიექტებთან ერთად ხარისხის მრავალწლიანი სტრატეგიული გეგმის განხილვა და რეკომენდირება;

გ) ხარისხის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ინოვაციებისა და ცვლილებების ხელშეწყობა;

დ) ლაბორატორიული კვლევების ხარისხისა და პაციენტის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საქმიანობის შესახებ შემაჯამებელი ანგარიშების მონიტორინგი;

ე) ხელმძღვანელობისთვის რეკომენდაციების წარდგენა ყველა იმ საკითხის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ლაბორატორიული მომსახურების ხარისხსა და ორგანიზაციულ კულტურასთან;

ვ) ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით ლაბორატორიული პერსონალისა და მკვლევარების კვალიფიკაციისა და სწავლების დონის გადახედვა/განხილვა;

ზ) ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ლაბორატორიის ხარისხის შიდა და გარე აუდიტის ანგარიშებსა და რეკომენდაციებზე ხელმძღვანელობის რეაგირების უზრუნველყოფა და /ან განხილვა;

თ) ხარისხის კონტროლის მოთხოვნების შესაბამისად ყველა სახელმწიფო პროგრამისა და სამეცნიერო კვლევის პროტოკოლების განხილვა;

ი)"წლიური მიმოხილვის" განყოფილებაში ხარისხის საკითხებსა და კომიტეტთან დაკავშირებით ტექსტის დამტკიცება;

კ) ხარისხსა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სააკრედიტაციო სტანდარტებთან შესაბამისობაზე ზედამხედველობა;

ლ) განიხილოს ან შეისწავლოს ნებისმიერი საქმიანობა მისი კომპეტენციის ფარგლებში;

მ) მოითხოვოს აღმსრულებლისაგან ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ ის დამატებითი განხილვა და /ან გამოსასწორებელი ქმედება, რომელსაც საჭიროდ მიიჩნევს.

ნ) ყოველი მომდევნო წლისათვის დაადგინოს განსახორციელებელი მიზნები მისი კომპეტენციის ფარგლებში სპეციფიკური სფეროების მითითებით.

4. ამ ბრძანების პირველი პუნქტით შექმნილი:

ა) კომიტეტი იკრიბება მინიმუმ წელიწადში ოთხჯერ ან საჭიროების შემთხვევაში კომიტეტის თავმჯდომარის მიერ დამატებითი სხდომის გამოცხადების შემთხვევაში. სხდომების თარიღი და დრო დაზუსტებულ უნდა იქნას ერთი წლით ადრე;

ბ) კომიტეტისათვის საქმიანი გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო ქვორუმი შეადგენს კომიტეტის წევრთა ნახევარზე მეტს;

გ) კომიტეტის ხელმძღვანელს მინიმუმ წელიწადში ორჯერ წარედგინება ანგარიში ხარისხის ყოველწლიური მდგომარეობის შესახებ.

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

6. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი).

გენერალური დირექტორი ამირან გამყრელიძე